# ციფრული კონტენტის შექმნა ხელოვნური ინტელექტის დახმარებით

## კურსის სილაბუსი

| | |
|---|---|
| **სასწავლო კურსის სტატუსი** | საბაზისო სასერტიფიკატო კურსი BSCTBC112 |
| **შეხვედრებისა და საათების რაოდენობა** | ხანგრძლივობა: 3 თვე<br>შეხვედრების რაოდენობა: 20 ლექცია<br>სალექციო საათები: 40 |
| **ლექტორი** | დავით ჯიჯავაძე<br>ელფოსტა: davitjij@gmail.com<br><br>ქეთევან მოსიავა<br>ელფოსტა: ketevanmosiava@gmail.com |
| **სასწავლო კურსის ფორმატი** | თეორიული და პრაქტიკული საკითხები მოიცავს ინტერაქციულ ლექციებს, ინდივიდუალურ და ჯგუფურ მუშაობას, დისკუსიებსა და პრაქტიკულ სამუშაოებს.<br>კურსი დაყოფილია 4 ბლოკად. თითოეული ბლოკში გათვალისწინებულია შუალედური პროექტი. კურსის ბოლოს იქნება დამოუკიდებელი სამუშაო პერიოდი ფინალური პროექტისთვის მოსამზადებლად. |

| # | სასწავლო კურსის შინაარსი | ძირითადი მიგნებები |
|---|---|---|
| **ბლოკი 1** | **კრეატიულობა, სთორითელინგი და AI-COPYWRITING** | |
| **ლექცია 1**<br>(2 საათი) | **კრეატიულობა და ციფრული სთორითელინგი (Creativity & Digital Storytelling)**<br><br>• **თემები:** კრეატიულობის გააზრება და ხედვების გაღრმავება. ნარატივის სტრუქტურები: გმირის გზა, სამ აქტიანი სტრუქტურა. რა ხდის ისტორიას ვირუსულს - ემოცია, კონფლიქტი, ტრანსფორმაცია. სარეკლამო რგოლებისა და კამპანიების ნარატიული ლოგიკა.<br>• **აქტივობა:** „ნარატივის ტრიალი“ - სტუდენტები იღებენ მოსაწყენ ყოველდღიურ საგანს და იგონებენ მის გარშემო 3 განსხვავებულ ემოციურ ისტორიას.<br>• **AI სტრატეგია:** Claude-ისა და ChatGPT-ის გამოყენება იდეების გენერირებისთვის, კრეატიული კუთხეების გენერირებისა და ნარატივის სტრუქტურის ტესტირებისთვის. | ესმის ციფრული სთორითელინგის და ნარატიული სტრუქტურების (გმირის გზა, 3-აქტიანი სტრუქტურა) პრინციპები;<br><br>შეუძლია AI-ის გამოყენება იდეების გენერირებისთვის და ემოციური ისტორიის აწყობა. |
| **ლექცია 2**<br>(2 საათი) | **Prompt Engineering-ის საფუძვლები - ტექსტი (Text Prompting Fundamentals)**<br>• **თემები:** პრომპტის სტრუქტურა: როლი, კონტექსტი, ამოცანა, ფორმატი, მაგალითები (Few-Shot). იტერაციული ციკლი. Custom Instructions და პერსონალური პროფილის შექმნა ასისტენტში. ტიპური შეცდომები და მათი გასწორება.<br>• **აქტივობა:** „პრომპტის ევოლუცია“ - ერთი და იგივე დავალება იწერება 3 ეტაპად: სუსტი პრომპტი → სტრუქტურირებული პრომპტი → იტერაციით დახვეწილი პრომპტი, და შედეგები ერთმანეთს ედრება.<br>• **AI სტრატეგია:** Claude/ChatGPT - სისტემური ინსტრუქციების აწყობა, გრძელი კონტექსტის მართვა და გენერირებული ტექსტის კრიტიკული შეფასება. | ფლობს Prompt Engineering-ის სტრუქტურას (როლი, კონტექსტი, ამოცანა, ფორმატი);<br><br>შეუძლია იტერაციული პრომპტინგითა და Custom Instructions-ით სტრუქტურირებული, მაღალი ხარისხის ტექსტის მიღება. |
| **ლექცია 3**<br>(2 საათი) | **Copywriting და ხმის ტონი (Copywriting & Tone of Voice)**<br><br>• **თემები:** ქოფირაითინგის ფორმულები (AIDA, PAS, BAB). ავტორის პერსონალურობა და ხმის ტონი. მიმზიდველი სათაურები (Hooks) და მოქმედებისკენ მოწოდება (CTA). გრძელი ფორმატის ტექსტის სტრუქტურა.<br>• **კონსტრუქტივისტული აქტივობა:** „ტონის ცვლილების გამოწვევა“ - ერთი და იგივე ინფორმაცია იწერება 3 სრულიად განსხვავებული ხმის ტონით, წყვილებში მუშაობით.<br>• **AI სტრატეგია:** ხმის ტონის პროფილის აწყობა ასისტენტში და ტექსტის ავტომატური ადაპტაცია სხვადასხვა პლატფორმისა და აუდიტორიისთვის. | იყენებს ქოფირაითინგის ფორმულებს (AIDA, PAS, BAB);<br><br>შეუძლია AI-ის დახმარებით უნიკალური ხმის ტონის (Tone of Voice) აწყობა და ტექსტის ადაპტირება სხვადასხვა პლატფორმისთვის. |

| | | |
|---|---|---|
| **ლექცია 4**<br>(2 საათი) | **შუალედური პროექტი 1 - „კამპანიის წერილობითი ხმა“ (Flipped Classroom)**<br>• **წინასწარი მასალა:** ვიდეოგზამკვლევი ტექსტური სტილის გზამკვლევის სტრუქტურაზე და 2 საუკეთესო ნიმუში წინა ნაკადებიდან.<br>• **დავალება:** კამპანიის ტექსტური სტილის გზამკვლევი: ხმის ტონი, 3 სოციალური მედიის პოსტი და ერთი გრძელი ფორმატის ტექსტი.<br>• **ფორმატი და Peer Review:** პრეზენტაცია ხმის ტონის ლოგიკის დასაბუთებით; თანაკურსელები აფასებენ ტექსტის დამაჯერებლობასა და კონცეფციასთან შესაბამისობას. | წარადგენს კამპანიის ტექსტური სტილის გზამკვლევს (ხმის ტონი, პოსტები, გრძელი ტექსტი) და ასაბუთებს სტრატეგიას peer review-ს საფუძველზე. |
| **ბლოკი 2** | **ვიზუალური გენერაცია - MIDJOURNEY, SEEDREAM, NANO BANANA, GPT IMAGE** | |
| **ლექცია 5**<br>(2 საათი) | **ვიზუალური Prompt Engineering (Midjourney & Seedream)**<br>• **თემები:** როგორ მუშაობს გამოსახულების გენერაცია. პრომპტის ანატომია: სუბიექტი, სტილი, განათება, კამერის პარამეტრები, ასპექტის თანაფარდობა. სტილებისა და ეპოქების რეფერენსები. Midjourney-სა და Seedream-ის ძლიერი მხარეები და შედარება - რომელი როდის.<br>• **აქტივობა:** „მითითებების დუელი“ - სტუდენტები ცდილობენ მოცემული ფოტოს სტილისა და კომპოზიციის მაქსიმალურად ზუსტ გამეორებას პრომპტების წერით.<br>• **AI სტრატეგია:** Midjourney - სტილიზებული, ესთეტიკური ვიზუალები; Seedream - მაღალი რეზოლუციისა და ტექსტის ზუსტი გადმოცემის საჭიროებისას. | ფლობს ვიზუალური პრომპტინგის ანატომიას (სტილი, განათება, კამერა);<br>შეუძლია Midjourney-სა და Seedream-ში ხარისხიანი, ესთეტიკური გამოსახულებების გენერირება. |

| | | |
|---|---|---|
| **ლექცია 6**<br>(2 საათი) | **რედაქტირება ინსტრუქციით - Nano Banana & GPT Image 2 (Instruction-Based Editing)**<br><br>• **თემები:** გამოსახულების რედაქტირება ბუნებრივი ენით: ობიექტების წაშლა, ჩანაცვლება და ინტეგრაცია, ფონის შეცვლა, განათების კორექცია, გაფართოება და ხარისხის გაუმჯობესება (Upscaling). პროდუქტის ფოტოს გარდაქმნა კამპანიის ვიზუალად. GPT Image 2-ის ძლიერი მხარეები: ინსტრუქციის ზუსტი გაგება, ტექსტის გამართული ჩაწერა ვიზუალზე და სტილის ერთგულება - რომელი ინსტრუმენტი როდის.<br>• **აქტივობა:** „ფოტოს მეტამორფოზა“ - უბრალო ყოველდღიური ფოტო გარდაიქმნება კამპანიის კინემატოგრაფიულ პოსტერად მხოლოდ ინსტრუქციული რედაქტირებით.<br>• **AI სტრატეგია:** Nano Banana - ლოკალური რედაქტირება, მრავალსურათიანი კომპოზიცია (რეფერენს-ფოტოების შერწყმა) და პროდუქტის ინტეგრაცია სცენაში; GPT Image 2 - ტექსტიანი დიზაინები, ზუსტი ინსტრუქციული ცვლილებები და ალტერნატიული ვერსიები. | შეუძლია ბუნებრივი ენით გამოსახულების ლოკალური რედაქტირება (Nano Banana) და ზუსტი ტექსტიანი/ინსტრუქციული დიზაინების შექმნა (GPT Image 2). |
| **ლექცია 7**<br>(2 საათი) | **თანმიმდევრულობა და ვიზუალური ბადე (Consistency & Content Grid)**<br><br>• **თემები:** კამპანიის ყველაზე რთული პრაქტიკული ამოცანა: ერთი პერსონაჟი და ერთი სტილი მთელ ბადეზე. Style Reference, Character Reference და Seed-ების გამოყენება; Nano Banana-ს რეფერენს-ვორქფლოუ პერსონაჟის შესანარჩუნებლად. ბადის (Grid) ესთეტიკა, ფერთა ჰარმონია და ვიზუალური იერარქია.<br>• **აქტივობა:** „ერთი გმირი - ცხრა კადრი“ - სტუდენტები ქმნიან ერთი პერსონაჟის 9 სხვადასხვა სცენას ისე, რომ პერსონაჟი და სტილი უცვლელი დარჩეს.<br>• **AI სტრატეგია:** Midjourney (--sref, --cref, seed) და Nano Banana-ს რეფერენსული რედაქტირება - კომბინირებული ვორქფლოუ კამპანიის ერთიანი ვიზუალური ენისთვის. | ინარჩუნებს პერსონაჟისა და სტილის თანმიმდევრულობას (--sref, --cref, Character Reference);<br><br>შეუძლია 9-კადრიანი ჰარმონიული ვიზუალური ბადის აწყობა. |

| | | |
|---|---|---|
| **ლექცია 8**<br>(2 საათი) | **შუალედური პროექტი 2 - „ვიზუალური ბადის გაშვება“ (Flipped Classroom)**<br><br>• **წინასწარი მასალა:** ბადის დაგეგმვის ჩექლისთი და თანმიმდევრულობის ვორქფლოუს ვიდეო-დემონსტრაცია.<br>• **დავალება:** კამპანიის სრული ვიზუალური პაკეტი: 9-პოსტიანი ჰარმონიული ბადე, 2 სარეკლამო პოსტერი და ავტორული ილუსტრაციები - ერთიანი სტილით.<br>• **ფორმატი და Peer Review:** ბადის ჩვენება ესთეტიკური არჩევანის დასაბუთებით; ფასდება ვიზუალური ჰარმონია, თანმიმდევრულობა და კამპანიის იდენტობასთან თავსებადობა. | წარადგენს 9-პოსტიან ჰარმონიულ ვიზუალურ ბადესა და სარეკლამო პოსტერებს ერთიანი ბრენდის ესთეტიკით. |
| **ბლოკი 3** | **AI ვიდეო წარმოება - KLING & SEEDANCE** | |
| **ლექცია 9**<br>(2 საათი) | **ვიდეო-სთორითელინგი: სცენარი და კადრირება (Scripting & Storyboarding)**<br><br>• **თემები:** მოკლე ვიდეოს დრამატურგია: პირველი 3 წამის Hook, განვითარება, CTA. სცენარის წერა AI ვიდეოსთვის - კადრების ენა, კამერის მოძრაობის აღწერა. Storyboard-ის აწყობა გენერირებული სურათებით (Image-to-Video მიდგომის საფუძველი).<br>• **აქტივობა:** „Hook Jam“ - წყვილები წერენ 5 განსხვავებულ კრეატიულ საწყის კადრს ერთი და იმავე პროდუქტის ვიდეოსთვის.<br>• **AI სტრატეგია:** Claude/ChatGPT - სცენარის სეკვენსების და კადრ-პრომპტების დაწერა; Midjourney/Seedream - Storyboard-ის საკვანძო კადრების გენერირება. | ადგენს ვიდეოს სცენარს 3-წამიანი Hook-ით და ქმნის AI-გენერირებულ კადრებზე დაფუძნებულ Storyboard-ს Image-to-Video პროცესისთვის. |
| **ლექცია 10**<br>(2 საათი) | **Kling - სიღრმისეული ათვისება (Image-to-Video & Motion Control)**<br><br>• **თემები:** Kling-ის სრული ვორქფლოუ: Image-to-Video და Text-to-Video, საწყისი და საბოლოო კადრი, მოძრაობის კონტროლი, კამერის ტრაექტორიები, Lip Sync და პერსონაჟის გახმოვანება. გენერაციის პარამეტრები და ხარისხის მართვა.<br>• **აქტივობა:** „კადრი ცოცხლდება“ - სტუდენტები აცოცხლებენ ბლოკ 2-ში შექმნილ საკუთარ ვიზუალებს და ერთმანეთს ადარებენ მოძრაობის სხვადასხვა მიდგომას<br>• **AI სტრატეგია:** Kling - კამპანიის მთავარი ვიდეო-ინსტრუმენტი: კინემატოგრაფიული კადრები საკუთარი გენერირებული სურათებიდან. | აცოცხლებს სტატიკურ ფოტოებს Kling-ის Image-to-Video ფუნქციით;<br><br>მართავს კამერის მოძრაობას, ტრაექტორიასა და Lip Sync-ს. |

| | | |
|---|---|---|
| **ლექცია 11**<br>(2 საათი) | **Seedance, ციფრული ავატარები და კომბინირებული ვორქფლოუ (Multi-Shot, AI Avatars & Workflows)**<br><br>• **თემები:** Seedance-ის ძლიერი მხარეები: მრავალკადრიანი თანმიმდევრული სცენები, დინამიკური მოძრაობა, სტილიზაცია. Kling vs Seedance - რომელი ამოცანისთვის რომელი. სრული მილსადენი: Midjourney/Seedream → Nano Banana → Kling/ Seedance. ციფრული ავატარები: საკუთარი გენერირებული პერსონაჟიდან მოსაუბრე ავატარის შექმნა - Lip Sync, მიმიკა და ვირტუალური წამყვანის კონცეფცია.<br>• **აქტივობა:** „ავატარი ალაპარაკდა“ - სტუდენტები საკუთარ პერსონაჟს გარდაქმნიან მოსაუბრე ავატარად და კლასს წარუდგენენ 15-წამიან „ვირტუალური წამყვანის“ კადრს.<br>• **AI სტრატეგია:** Seedance - მრავალკადრიანი დინამიკური სცენები; Kling Lip Sync - ავატარის ამეტყველება (სრული ხმოვანი დიზაინი ბლოკ 4-ში დაემატება); კადრების ერთიან ნარატივად აწყობის დაგეგმვა. | აწყობს მრავალკადრიან დინამიკურ სცენებს (Seedance) და ქმნის მეტყველ ციფრულ ავატარს AI ინსტრუმენტების ჯაჭვური (Pipeline) ვორქფლოუთი. |
| **ლექცია 12**<br>(2 საათი) | **შუალედური პროექტი 3 - „ვირუსული ვიდეოს პრემიერა“ (Flipped Classroom)**<br><br>• **წინასწარი მასალა:** ვიდეო-ნარატივის შეფასების კრიტერიუმები და მონტაჟის ბაზისური გზამკვლევი.<br>• **დავალება:** მინიმუმ 2 სრულად დაგენერირებული მოკლე ვიდეო - სცენარით, Storyboard-ით და მოძრავი კადრებით (ხმა და მუსიკა ბლოკ 4-ში დაემატება).<br>• **ფორმატი და Peer Review:** პრემიერა დიდ ეკრანზე; ფასდება პირველი 3 წამის ეფექტი, ნარატივის დინამიკა და ვიზუალური ხარისხი. | წარადგენს მინიმუმ 2 დაგენერირებულ მოკლე ვიდეოს გამართული სცენარით, დინამიკური კადრირებითა და ძლიერი საწყისი Hook-ით. |
| **ბლოკი 4** | **ხმა, მუსიკა და გავრცელება (AUDIO GENERATION & DISTRIBUTION)** | |

| | | |
|---|---|---|
| **ლექცია 13**<br>(2 საათი | **ხმისა და მუსიკის გენერაცია - ElevenLabs & Suno (Voice & Music Day)**<br>• **თემები:** ElevenLabs: ტექსტიდან ხმა (TTS), ხმის დიზაინი და კლონირება, ემოციისა და ტემპის მართვა, მრავალენოვანი გახმოვანება. Suno: მუსიკის გენერაცია - ჟანრი, სტრუქტურა, ტექსტიანი და ინსტრუმენტული ტრეკები, კამპანიის აუდიო-იდენტობა (Sonic Identity).<br>• **აქტივობა:** „კამპანიის ხმა და ჰიმნი“ - სტუდენტები ქმნიან თავიანთი კამპანიის დიქტორის ან ავატარის ხმას ElevenLabs-ში და 30-წამიან ავტორულ მუსიკალურ თემას Suno-ში.<br>• **AI სტრატეგია:** ხმის პრომპტინგი ემოციური ნიუანსებისთვის და მუსიკის სტილისტური პრომპტები კამპანიის ხასიათის შესატყვისად. | ქმნის ბრენდის აუდიო-იდენტობას (Sonic Identity): აგენერირებს ემოციურ დიქტორულ ხმას (ElevenLabs) და 30-წამიან საავტორო მუსიკალურ თემას (Suno). |
| **ლექცია 14**<br>(2 საათი) | **სრული აწყობა: აუდიო, სუბტიტრები და საბოლოო სახე (Final Assembly)**<br>• **თემები:** ვიდეოს, ხმის, მუსიკისა და სუბტიტრების ინტეგრაცია ერთ დასრულებულ პროდუქტად. აუდიო-ბალანსი, რიტმი და მონტაჟის ლოგიკა. ფერთა კორექციის საფუძვლები საბოლოო კინემატოგრაფიული სახისთვის.<br>• **აქტივობა:** „პრემიერამდე 60 წუთი“ - სტუდენტები ბლოკ 3-ის ვიდეოს უმატებენ გახმოვანებას, მუსიკასა და სუბტიტრებს და ერთ სესიაში ასრულებენ სრულ ვერსიას.<br>• **AI სტრატეგია:** სუბტიტრები, აუდიო და ფერთა კორექცია premiere pro-სა და Capcut-ის ფუნქციებით. | ახდენს ვიდეოს, ხმის, მუსიკისა და სუბტიტრების სრულ სინქრონიზაციას და ქმნის დასრულებულ აუდიო-ვიზუალურ პროდუქტს. |
| **ლექცია 15**<br>(2 საათი) | **გავრცელების საფუძვლები - კონტენტ-კალენდარი და მაჩვენებლები (SMM Essentials)**<br>• **თემები:** კომპაქტური, პრაქტიკული სესია: პლატფორმების სპეციფიკა (Instagram, TikTok, YouTube), კონტენტის სვეტები (Content Pillars), 2-კვირიანი კალენდრის შედგენა და სამი ძირითადი მაჩვენებელი - Reach, Engagement, CTR - მარტივ ენაზე.<br>• **აქტივობა:** „კონტენტის მატრიცა“ - გუნდები ერთ სესიაში ავსებენ კვირის მატრიცას: გასართობი, საგანმანათლებლო და გასაყიდი პოსტების ბალანსით.<br>• **AI სტრატეგია:** Claude/ChatGPT - კალენდრის სტრუქტურის გენერირება, პოსტების აღწერებისა და ჰეშთეგების ადაპტაცია პლატფორმების მიხედვით. | ადგენს პლატფორმებზე (IG, TikTok, YT) მორგებულ 2-კვირიან კონტენტ-კალენდარს და ერკვევა ჩართულობის ძირითად მაჩვენებლებში (Reach, Engagement, CTR). |

| | | |
|---|---|---|
| **ლექცია 16**<br>(2 საათი) | **შუალედური პროექტი 4 - „სრული აუდიო-ვიზუალური კამპანია“ (Flipped Classroom)**<br><br>• **წინასწარი მასალა:** დასრულებული კამპანია-ვიდეოს ნიმუში განხილვით: რა ქმნის პროფესიონალურ საბოლოო სახეს.<br>• **დავალება:** მინიმუმ 3 სრულად დასრულებული ვიდეო (ხმით, მუსიკით, სუბტიტრებით) და 2-კვირიანი გავრცელების კალენდარი.<br>• **ფორმატი და Peer Review:** ფასდება აუდიო-ვიზუალური მთლიანობა, კამპანიის ერთიანი ხასიათი და კალენდრის ლოგიკა. | წარადგენს სრულყოფილ აუდიო-ვიზუალურ კამპანიას (3 დასრულებული ვიდეო ხმითა და სუბტიტრებით) და გავრცელების 2-კვირიან გეგმას. |
| **ბლოკი 5** | **ფინალური ლაბორატორია, ეთიკა და გაშვება** | |
| **ლექცია 17**<br>(2 საათი) | **პერსონალური იმიჯი, პორტფოლიო და AI ეთიკა (Personal Image, Portfolio & AI Ethics)**<br><br>• **თემები:** პერსონალური იმიჯისა და ავტორის ხმის ჩამოყალიბება; პორტფოლიოს პლატფორმები (Behance, Linktree, საკუთარი გვერდი). სავალდებულო ეთიკურ-სამართლებრივი საათი: AI-კონტენტის საავტორო უფლებრივი სტატუსი, ინსტრუმენტების კომერციული გამოყენების პირობები, AI-კონტენტის მარკირება/გამჟღავნება და ხმის/გამოსახულების უფლებები.<br>• **აქტივობა:** „ბიოგრაფიის რედიზაინი“ - სტუდენტები წერენ და აფორმებენ საკუთარ პროფესიულ Bio-ს, რომელიც მაქსიმალურად კარგად წარმოაჩენს მათ ძლიერ მხარეებს.<br>• **AI სტრატეგია:** პორტფოლიოს სტრუქტურისა და პროფესიული განვითარების სამოქმედო გეგმის შედგენა ასისტენტთან ერთად. | იცნობს AI-კონტენტის ეთიკურ და საავტორო სტანდარტებს; შეუძლია პორტფოლიოსა და პერსონალური ბრენდის (Bio/Image) ეფექტურად აწყობა. |
| **ლექცია 18**<br>(2 საათი) | **კონტენტის აუდიტი და ხარვეზებზე ნადირობა (Content Audit Lab)**<br><br>• **თემები:** ხარისხის საბოლოო კონტროლი: ვიზუალური ხარვეზები, თანმიმდევრულობის დარღვევები, აუდიო-ბალანსი, ტექსტების კორექტურა.<br>• **აქტივობა:** „აუდიტის გამოწვევა“ - სტუდენტები ცვლიან პროექტების სამუშაო ვერსიებს და აკეთებენ ერთმანეთის დეტალურ აუდიტს წერილობითი რეკომენდაციებით.<br>• **AI სტრატეგია:** აღმოჩენილი ხარვეზების სწრაფი გასწორება: Nano Banana - ვიზუალი, ElevenLabs - ხმის ხელახალი გენერაცია, ასისტენტი - ტექსტის კორექტურა.. | ატარებს კონტენტის დეტალურ აუდიტს, ავლენს ვიზუალურ/აუდიო ხარვეზებს და ასწორებს მათ შესაბამისი AI ხელსაწყოებით. |

| | | |
|---|---|---|
| **ლექცია 19**<br>(2 საათი) | **პრეზენტაციის ხელოვნება და მომავლის ტენდენციები (Creative Pitching & Future Trends)**<br>• **თემები:** როგორ წარვუდგინოთ კრეატიული პროექტი დამკვეთს ან სააგენტოს. მომავლის წიგნიერება: ვირტუალური ინფლუენსერები, AI აგენტები, ახალი პლატფორმები და სად რჩება ადამიანის როლი.<br>• **აქტივობა:** „ლიფტის პიჩი“ - თითოეულ სტუდენტს აქვს 1 წუთი, რათა დაარწმუნოს კლასი თავისი კამპანიის ეფექტურობასა და კრეატიულობაში.<br>• **AI სტრატეგია:** საპრეზენტაციო ნარატივისა და სლაიდების სტრუქტურის დახვეწა ასისტენტთან ერთად. | ფლობს 1-წუთიანი და 5-წუთიანი პრეზენტაციის (Pitching) ტექნიკას;<br>ესმის AI ტენდენციები (აგენტები, ვირტუალური ინფლუენსერები) და პროექტის წარდგენის ლოგიკა. |
| **ლექცია 20**<br>(2 საათი) | პროექტების განხილვა/პრეზენტაცია და ლექტორთან უკუკავშირი | |